საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოველის „ქრონოგრაფია“

იოველის „ქრონოგრაფია“, ბიზანტიელი ისტორიკოსის იოველის მიერ (მისი ბიოგრაფია უცნობია) ლათინთა ბატონობის ხანაში (1204–61) დაწერილი თხზულება „მოკლე ქრონოგრაფია".

მასში აღწერილია ამბები დასაბამიდან ვიდრე 1204-მდე. 948-მდე ამბები გადმოცემულია გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფიის" მიხედვით, ხოლო შემდგომი პერიოდის აღსაწერად ავტორი სარგებლობს იოანე სკილიცეს შრომით. „ი. ქ-ის" ბოლო ნაწილში მოთხრობილია ბაგრატ IV-ის ქალიშვილის მარიამის (მართა ყოფილის) ბიზანტიაში გათხოვებისა და შემდგომ მისი იქ მოღვაწეობის შესახებ. მარიამ დედოფალი მოხსენიებულია პატივით, როგორც მართა ა ვ ღ უ ს ტ ი ნ ა.

პუბლ.: იოველის „ქრონოგრაფია“, [წიგნში]: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 6, თბ., 1966.